



თიბისი დაზღვევა

T B C I N S U R A N C E

ქონების დაზღვევის პირობები

#PRO/002/17

ქონების დაზღვევის პირობები #PRO/002/17**ტერმინთა განმარტებები**

მზღვეველი - სს თიბისი დაზღვევა.

დამზღვევი - ფიზიკური პირი, რომელიც მითითებულია სადაზღვევო პოლისში, როგორც დამზღვევი, აფორმებს ქონების დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და პასუხისმგებელია სადაზღვევო პრემიის გადახდაზე.

მოსარგებლე - პირი, რომელსაც გააჩნია სადაზღვევო ინტერესი დაზღვეული ქონების მიმართ და უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სადაზღვევო თანხა/ ანაზღაურების ლიმიტი - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებლებზე.

სადაზღვევო პერიოდი - პოლისში მითითებული დროის შუალედი, რომლის განმავლობაში მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა.

დაზღვევის ობიექტი / დაზღვეული ქონება - ქონება, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა: წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს: **შიდა მოპირკეთება** (რემონტი) **და შიგთავსი** (ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა).

იმ შემთხვევაში თუ შიგთავსის რომელიმე ერთეული ობიექტის ღირებულება აღემატება წინამდებარე ხელშეკრულების **დანართ #1**-ში მითითებულ ოდენობებს, აღნიშნული ობიექტების ჩამონათვალი მითითებული უნდა იყოს სადაზღვევო პოლისში, ან მის დანართში და ხელმოწერილი იყოს სადაზღვევო კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლისა და დამზღვევის მიერ. აღნიშნული შიგთავსის ჩამონათვალი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას თითოეული დასაზღვევი ერთეულის მოდელის/ მარკის, გამოშვების თარიღისა და ღირებულების შესახებ. **წინააღმდეგ შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილია უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.**

სადაზღვევო შემთხვევა - პოლისში მითითებული დაზღვეული რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი მოვლენა, რომლის შედეგად დამზღვევს წარმოეშვა სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

დაზღვეული რისკი - პოლისში მითითებული გაუთვალისწინებელი მოვლენა, რომლის ხდომილებამ შეიძლება გამოიწვიოს დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება.

დაზღვევის ტერიტორია - სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი, სადაც განთავსებულია დაზღვეული ქონება და რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაფარვა.

ფრანშიზა - პოლისში მითითებული თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე. ფრანშიზა შეიძლება განისაზღვროს როგორც ყოველი, ასევე თითოეული სადაზღვევო შემთხვევისათვის.

სადაზღვევო პრემია - დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

შიგთავსი - (ავეჯი და საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები) - ტელე-ვიდეო-აუდიო აპარატურა, სარეცხი მანქანები, მაცივრები, მტვერსასრუტები, გათბობა-გაგრილების საშუალებები და მოწყობილობები, გაზის და ელექტრო-ღუმელები, სპორტული მოწყობილობები, გენერატორები, კომპიუტერული ტექნიკა; თმის გამაშრობლები, სამზარეულოს მოწყობილობები - მიქსერები, კომბაინები, მადულარები; თითოეული ობიექტისთვის მაქსიმალური სადაზღვევო თანხა განსაზღვრულია წინამდებარე პირობების დანართ #1 ში.

შიდა მოპირკეთება - კედლების შპალერი და/ან სხვა ტიპის საფარი, დაკიდული ჭერი, იატაკი, ფანჯრები, კარები და/ან მათი საკეტები და მინები.

სრული ზარალი - დაზღვეული ქონება ჩაითვალება სრულად განადგურებულად, თუ დანახარჯი მისი შეკეთების და აღდგენისთვის აღემატება მისი რეალური ღირებულების 75%-ს.

მესამე პირი - ფიზიკური პირი რომელიც არ წარმოადგენს დამზღვევს,

მოსარგებლეს, მათი ოჯახის წევრს ან დაზღვეულ ქონებაში მცხოვრებ პირს.

დაზღვევის ხელშეკრულება

წინამდებარე პირობები წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების ნაწილს, რომლის საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევის კანონიერ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების დაზღვევა.

მზღვეველი დამზღვევის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გასცემს კონკრეტულ დაზღვევის პოლისს, რომელიც წინამდებარე პირობებთან ერთად წარმოადგენს ერთიან დაზღვევის ხელშეკრულებას.

მზღვეველი ვალდებულია პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკების შედეგად სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აუნაზღაუროს დამზღვევს, ან მის მიერ დასახელებულ მოსარგებლეს, ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეულ ქონებას (გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება), პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს სრული და უტყუარი ინფორმაცია დასაზღვევი ობიექტის შესახებ, ასევე ნებისმიერი სხვა, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს რისკის ხარისხის შეფასებისა და შესაძლო ზარალის მოცულობის განსაზღვრისთვის.

დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის პირველი შენატანის გადახდისას, მაგრამ არაუადრეს სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი თარიღის 24 საათისა და მოქმედებს პოლისში მითითებული ვადის ბოლო თარიღის 24 საათამდე. სადაზღვევო პოლისი ექვემდებარება ყოველწლიურ ავტომატურ განახლებას სესხის ხელშეკრულების ბოლომდე (გარდა იმ შემთხვევისა როცა მზღვეველის მხრიდან ანაზღაურებულია ზარალი) თუ პოლისის შეწყვეტის თაობაზე მხარეთა მიერ არ იქნება წერილობითი შეტყობინებინება გაგზავნილი მეორე მხარის მიმართ შეწყვეტამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ამ უკანასკნელის ფაქტობრივ მისამართზე.

სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ იმ ტერიტორიულ ფარგლებში, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში (დაზღვევის ტერიტორია). დაზღვეული ქონების სხვა ტერიტორიაზე გადაადგილების დროს სადაზღვევო დაფარვა არ იმოქმედებს.

სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება აისახება შესაბამის დანართში. ამასთან, დამზღვევი თანხმობას აცხადებს და შესაბამისად მზღვეველი

უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად, შეცვალოს დაზღვევის პირობები, კერძოდ: გააუმჯობესოს სადაზღვევო პირობები და გაუმჯობესებული პირობების შესაბამისად გაზარდოს სადაზღვევო პრემია. დამზღვევს ამ ცვლილებების თაობაზე ეცნობება მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით, პოლისში მითითებული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით, პოლისის განახლებამდე 1 (ერთი) თვით ადრე. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი არ მოინდომებს პოლისის განახლებას გაზრდილი სადაზღვევო პრემიით, ის ვალდებულია აცნობოს მზღვეველს წერილობითი სახით, მოკლე ტექსტური შეტყობინების მიღების თარიღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

სადაზღვევო შემთხვევებად ითვლება მხოლოდ ის მოვლენები, რომელიც დადგა პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან **14** (თოთხმეტი) **კალენდარული დღის** გასვლის შემდეგ და არაუგვიანეს პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დასრულების თარიღისა.

იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევს სურს წინამდებარე პირობების **დანართ #1**-ში გათვალისწინებული ჩამონათვალისაგან განსხვავებული, დამატებითი ქონების დაზღვევა, რომლის რეალური ღირებულება აღემატება დანართში მითითებულ ლიმიტს, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს წინასწარ მიაწოდოს ასეთი ნივთების ჩამონათვალი, შესაბამისი ღირებულებების მითითებით. **წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას ანაზღაურებაზე ან გასცეს ანაზღაურება დანართ #1-ში მითითებული ლიმიტის ფარგლებში.**

1. დაზღვეული რისკები

დამზღვევის (მოსარგებლის) ქონება დაზღვეულია ქვემოთ ჩამოთვლილი რისკებისაგან:

1.1 მეზობელი ფართიდან შემოსული წყლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება

- წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისია დაზღვევის ძალაში შესვლამდე მიყენებული ზიანი.

1.2 კანალიზაციის ან წყალგაყვანილობის, ელ. გაყვანილობის და/ან გათბობის სისტემების მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა

- წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისია ელ. გაყვანილობის, გათბობის, გაზგაყვანილობის, კანალიზაციის მოხმარების ჩვეულებრივი ნორმების დაუცველობით მიყენებული ზიანი, ცვეთადი ნაწილების შეცვლის ხარჯები, ისეთი როგორიც არის: ფილტრები, საფენები, რეზინები, რეზინის მილები, ნათურები, დამცველები, კაბელები და ელ.სადენები, რომელიც არ

წარმოადგენს შიდა მოპირკეთების ელემენტებს, თუ ეს არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევით; ასევე ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეული ქონების მწყობრიდან გამოსვლით (მათ შორის ელექტროენერჯის ცვალებადობით) მიყენებული ზიანი.

1.3 ხანძარი, აფეთქება, კვამლით დაზიანება

- წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისია დაზღვეული ქონების დაზიანება ცეცხლით, სითბოთი ან სხვა თერმული დამუშავების შედეგად, ასევე გამონაკლისია კვამლის ხანგრძლივი ზემოქმედებით გამოწვეული ზიანი.

1.4 სტიქიური მოვლენები, კერძოდ: წვიმა (ნალექის მოცულობა აღემატება 10სმ/25სთ), სეტყვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, ძლიერი ქარი (ჰაერის მასების მოძრაობა 25მ/წმ ზე მეტი სიჩქარით).

- წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისია ზარალი, გამოწვეული დაზღვეულ ნაგებობაში წვიმის, თოვლის ან სეტყვის შეღწევით ღია ფანჯრებიდან, კარებიდან, ხვრელიდან (რომლებიც გაკეთებულია წინასწარ განზრახულად ან წარმოქმნილია სიძველიდან გამომდინარე ან სამშენებლო დეფექტით).
- წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისია აივნის დაზიანება, გამოწვეული წვიმით, სეტყვით ან წყალდიდობით.
- მების დაცემით გამოწვეული ელ. მოწყობილობის ან დანადგარის დაზიანება, როდესაც ადგილი არ ქონია ხანძარს.

1.5 ქურდობა შეღწევით, ძარცვა, ყაჩაღობა (დადასტურებული შსს-ს მიერ).

- წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისია ისეთი ზიანი, რომელიც დადგა დაზღვეული შენობის 30 კალენდარულ დღეზე მეტი დროით უმეთვალყურეოდ მიტოვების დროს.
- წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისია ქონების დაკარგვა დაუდგენელ ვითარებაში.

1.6 მესამე პირის მიერ ჩადენილი ვანდალიზმი.

2. საერთო გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევით არ ანაზღაურდება დაზღვეული ქონებისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც წარმოქმნილია ან უკავშირდება შემდეგ მოვლენებს:

- 2.1 ომი, შემოჭრა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, რევოლუცია, აჯანყება, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, ლოქაუტის, სამხედრო ან უზურპირებული ძალის, რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით

- მოქმედი პირის მოქმედება; ნებისმიერი ტერორისტული აქტი;
- 2.2 კონფისკაცია, რეკვიზიცია, დაპატიმრება ან სახელმწიფო ორგანოების ბრძანებით დაზღვეული ქონების განადგურება.
- 2.3 დაზღვეული ქონების დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნება ბუნებრივი პროცესების შედეგად, კერძოდ: საყოფაცხოვრებო ტექნიკის ამორტიზაცია, ცვეთა, მიმდინარე რემონტის ხარჯები, კოროზია, ეროზია, ჟანგვა, ნალექების დაგროვება, დანესტიანება;
- 2.4 მშენებლობების, ნაგებობების ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ან მათი ნაწილის ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს არ იქნება გამოწვეული სადაზღვევო რისკით;
- 2.5 ზარალი, რომელიც გამოიწვია შინაურმა ცხოველებმა/ფრინველებმა, ქვეწარმავლებმა, მწერებმა, მღრღნელებმა ან სხვა მავნებლებმა ან დადგა შემდგომში, მათი ზემოქმედების შედეგად;
- 2.6 ზარალი გამოწვეული დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის პროფესიული საქმიანობით;
- 2.7 ზარალი ან დაზიანება გამოწვეული ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ოჯახის წევრის ან მასთან ერთად მცხოვრები პირის ქმედებით;
- 2.8 ზარალი ან დაზიანება, გამოწვეული დამზღვევის (მოსარგებლის), დამზღვევის ოჯახის წევრების, ასევე პირების, რომლებიც ცხოვრობენ დაზღვეულ ნაგებობაში განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაზღვეული ქონების მიმართ, რაც გამოიხატება შემდეგში: მათ მიერ დაზღვეული ქონების გამოყენება სხვა მიზნით (ვიდრე მითითებულია სადაზღვევო პოლისში) და/ან დადგენილი კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის და სახანძრო უსაფრთხოების, სამუშაოების უსაფრთხო ჩატარების, სამშენებლო ნორმების, წესების და ინსტრუქციების დარღვევა ექსპლუატაციის რეგლამენტირების, ელექტრო/გაზის ხელსაწყოების, გასათბობი მოწყობილობების შენახვის პირობების დარღვევა, ასევე დაზღვეული ქონების გამოყენება სხვა მიზნით და ა.შ;
- 2.9 საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებლის დეფექტები ან მომწოდებლის მიერ გაცემული გარანტიით დაფარული ხარჯები;
- 2.10 ინფორმაციის (მაგ: კომპიუტერის მყარ დისკზე არსებული ინფორმაცია და სხვ.) აღდგენის ხარჯები;
- 2.11 ზარალი ან ზიანი, რომელიც დადგა სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე; ან გამოწვეულია მოვლენით, რომელიც მოხდა სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე;
- 2.12 ზარალი ან დაზიანება, რომელიც გამოწვეული იქნება დაზღვეულ ქონებაში

- სარემონტო სამუშაოების ან სხვა სახის შეკეთებით სამუშაოების შედეგად;
- 2.13 მშენებლობის, ნაგებობის ან მათი ნაწილის, ასევე მათში არსებული ქონების ნგრევა ან დაზიანება, თუ ეს გამომწვეულია მშენებლობის საინჟინრო ან სხვაგვარი დეფექტით და გამოვლინდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;
- 2.14 ფანჯრის მინების, სარკეების, ვიტრინების და სხვა შუშის ნაწილების მსხვრევა, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ასეთი დაზიანება/მსხვრევა არ არის გამომწვეული დაზღვეული რისკით;
- 2.15 ნებისმიერი სახის ზარალი ან დაზიანება გამომწვეული იმ რისკების შედეგად, რომელიც არ არის მითითებული დაზღვეული რისკების ჩამონათვალში;
- 2.16 დაზღვეული ქონების ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა;
- 2.17 არაპირდაპირი ზიანი, გამომწვეული დაზღვეული რისკების შედეგად;
- 2.18 დამზღვევის მხრიდან წინამდებარე პირობებითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;
- 2.19 სადაზღვევო შემთხვევის პროვოცირება, ინსცენირება ან გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა;
- 2.20 სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც დადგა დაზღვეული ქონების 30 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის დროს;
- 2.21 ისეთი ქონებისათვის, რომელიც განთავსებულია შენობაში, რომელიც აშენებულია 1955 წელს ან უფრო ადრე, არ ანაზღაურდება:
- მეზობელი ფართიდან შემოსული წყლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;
 - კანალიზაციის და/ან წყალგაყვანილობის ელექტროგაყვანილობის და/ან გათბობის სისტემების მწყობრიდან გამოსვლით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება;
 - სტიქიური უბედურებით დაზღვეული ქონების დაზიანება ან განადგურება.
- 2.22 დაზღვევას არ ექვემდებარება:
- 2.22.1 ნაღდი ფული, აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბულალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია;
- 2.22.2 მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და ა.შ;
- 2.22.3 ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი; ძვირფასი, ნახევრადძვირფასი და სანაკეთო ქვები; ძვირფასი და იშვიათი ლითონები მავთულის, ზოდის, ქვიშის, თვითნაბადი სახით და ძვირფასი ქვები დამუშავების და მოჭედვის გარეშე; ანტიკვარიანი, მათ შორის ავეჯი, რომლის ასაკი აღემატება 50 წელს, მარკების, მონეტების, ფულადი ნიშნების,

- და სხვა სახის კოლექცია, ასევე ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები;
- 2.22.4 კომპიუტერისა და სხვა სახის ანალოგიურ სისტემებში არსებული ტექნიკური საინფორმაციო საშუალებები (მაგნიტური ბლოკი, მაგნიტური ლენტა, საინფორმაციო ბლოკი და სხვა) და ინფორმაციის სხვა მატარებლები; კომპიუტერული პროგრამები, ელექტროინფორმაციის დროებითი შენახვის და გადატანის საშუალებები (დისკები, კასეტები, მეხსიერების ბარათები და ა.შ);
- 2.22.5 საბრძოლო მასალა და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები;
- 2.22.6 გადამცემი და გამანაწილებელი ხაზები;
- 2.22.7 ცხოველები; ფრინველები; ნარგავები, მარცვლოვანი კულტურები;
- 2.22.8 ავტო-სატრანსპორტო საშუალებები;
- 2.22.9 ანძები, ანტენები, ღია ელექტრომავთულები, ტენტები და სხვა შენობა/ ნაგებობის გარეთა მხარეს მდებარე ქონება (აღნიშნული გამონაკლისი არ ეხება შენობა ნაგებობის გარეთ დამონტაჟებულ გათბობა/გაგრილების სისტემებს);
- 2.22.10 კვების პროდუქტები;
- 2.22.11 ქონება, რომელიც მდებარეობს დაზღვეულ ტერიტორიაზე, მაგრამ არ ეკუთვნის დაზღვევს და არ არის მითითებული პოლისი - ხელშეკრულების შესაბამის დანართში;
- 2.22.12 დაზღვეულად არ ჩაითვლება ის შენობები და ნაგებობები, ასევე იქ განთავსებული ქონება თუ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებულია ავარიულად;
- 2.22.13 ქონება, რომელიც არ გამოიყენება საყოფაცხოვრებო მიზნით; ავტო-ფარეხი, ფარდული, საცურაო აუზი, ბაღი, ღობეები, ჭიშკარი, საცხოვრებელ სახლში მეზობლების საერთო სარგებლობაში მყოფი ქონება, სამეურნეო ნაგებობი ან ნებისმიერი ნაგებობა, რომელიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად;
- 2.22.14 მხატვრულად დამუშავებული მინები;
- 2.22.15 საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები, რომელთა ასაკი აღემატება 8 წელს.

3. სადაზღვევო თანხა

თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას, სადაზღვევო თანხა (ანაზღაურების ჯამური ლიმიტი) შემცირდება გადახდილი ანაზღაურების ოდენობით. ანაზღაურების ლიმიტი ითვლება შემცირებულად სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღიდან.

4. სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლის წესი

სადაზღვევო შემთხვევის დროს მზღვეველის მიერ ანაზღაურება ხორციელდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

- 4.1. **სრული ზარალის შემთხვევაში** – გაიცემა ქონების აღდგენითი ან შენაცვლებითი ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხისა (პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით);
- 4.2. დაზღვეული ქონების **ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში** – გაიცემა მის დაზიანებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხა, მაგრამ არაუმეტეს პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხისა (პოლისში მითითებული ფრანშიზის გამოკლებით);
- 4.3. ქონების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში, მზღვეველი დაეყრდნობა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ წარმოდგენილ დასკვნას მიყენებული ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. ზარალის ანაზღაურება მოხდება მხარეთა შეთანხმებით, ექსპერტის მიერ დადგენილი კალკულაციის შესაბამისად. მზღვეველი გადაიხდის ქონების აღდგენით ღირებულებას, ან ჩაანაცვლებს დაზიანებულ ან განადგურებულ ქონებას იგივე ტიპის ქონებით ცვეთისა და ფრანშიზის გათვალისწინებით;
- 4.4. აღდგენის დანახარჯები მოიცავს სარემონტო სამუშაოებს (მასალის, ტრანსპორტირებისა და მუშა-ხელის ჩათვლით), სათადარიგო ნაწილებს, ნებისმიერ სხვა დანახარჯს, რომელიც აუცილებელია უშუალოდ სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად;
- 4.5. დანახარჯები აღდგენაზე არ მოიცავს დამატებით დანახარჯებს, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული ობიექტის რაიმე სახით ცვლილებით ან გაუმჯობესებით;
- 4.6. დანახარჯები აღდგენაზე გამოითვლება სადაზღვევო შემთხვევის მომენტში არსებული საბაზრო ფასების საფუძველზე;
- 4.7. მზღვეველის მიერ გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურების თანხას აკლდება პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადაუხდელი ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 4.8. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ავეჯის და საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, მზღვეველი დაეყრდნობა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის ავეჯის / საყოფაცხოვრებო ტექნიკის საბაზრო ღირებულებას - ამასთან ანაზღაურება თითოეული ერთეული საყოფაცხოვრებო ტექნიკის / ავეჯისათვის არ გადააჭარბებს შესაბამისი ერთეულის რეალურ ღირებულებას და ასევე არ გადააჭარბება დანართ #1-ში მოცემულ ლიმიტებს.

5. სადაზღვევო შემთხვევა

დამზღვევის/მოსარგებლის ვალდებულებები:

- 5.1 სადაზღვევო შემთხვევის დროს დამზღვეველი ვალდებულია დაუყოვნებლივ (გონივრული ვადების დაცვით) შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ცხელ ხაზზე - 2 42 22 22. აღნიშნული შეტყობინება წერილობით უნდა იყოს დადასტურებული სადაზღვევო შემთხვევის ცხელ ხაზზე დაფიქსირებიდან 72 საათის განმავლობაში.
- 5.2 დამზღვევი ვალდებულია შეასრულოს მზღვეველის წარმომადგენლისგან მიღებული მითითებები დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.
- 5.3 დამზღვევი ვალდებულია გამოიძახოს საპატრულო პოლიცია მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების (ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი) შემთხვევაში დაზღვეული ქონების მიმართ; ხოლო ხანძრის ან აფეთქების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს (სახანძრო დეპარტამენტი, საავარიო სამსახური).
- 5.4 დამზღვევი ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა სადაზღვევო შემთხვევის დროს ზარალის შეწყვეტის, შემცირების ან დაზღვეული ქონების გადარჩენის მიზნით; სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით დამზღვევის მიერ გასაღები ყველა ხარჯი წინასწარ უნდა იქნას შეთანხმებული მზღვეველთან წერილობითი სახით, **წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას ასეთი ხარჯების ანაზღაურებაზე.**
- 5.5 დამზღვევი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში შეინარჩუნოს დაზიანებული ქონება მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე იმ სახით, როგორშიც ის აღმოჩენილ იქნა სადაზღვევო შემთხვევის შემდგომ. მზღვეველის წარმომადგენელს უნდა მიეცეს საშუალება დაათვალიეროს სადაზღვევო შემთხვევის ადგილი და დაზიანებული ქონება.
- 5.6 დამზღვევი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:
- ა) წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
 - ბ) სადაზღვევო პოლისის ასლი;
 - გ) დაზიანებულ/განადგურებულ ქონებაზე საკუთრების უფლების ან სხვა ქონებრივი ინტერესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - დ) კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან კერძო უწყებების მიერ (როგორც არის შსს, მეტეოროლოგიური ცენტრი, სახანძრო სამსახური და ა.შ) გაცემული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზები;
 - ე) კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დასადგენად აუცილებელი ყველა სხვა საბუთი.
- 5.7 **იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი არ ასრულებს წინამდებარე მუხლის**

პირობებს, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;

- 5.8 იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ფართი მდებარეობს შენობის ბოლო სართულზე და მზღვეველმა აანაზღაურა ზარალი, რომელიც გამოწვეული იყო დაზღვეული რისკითა და შენობის სახურავის დაზიანებით, **მზღვეველი არ აანაზღაურებს ნებისმიერ მომდევნო ზარალს ან ზიანს, თუ უკვე ანაზღაურებული ზარალის შემდეგ არ მოხდა დაზიანებული სახურავის შეკეთება.** ასეთ შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია შეატყობინოს მზღვეველს სახურავის შეკეთების შესახებ. შეტყობინების მიღების შემდეგ, მზღვეველი უფლებამოსილია შეამოწმოს შეკეთებული სახურავის მდგომარეობა;
- 5.9 წინამდებარე მუხლში მითითებული მოვალეობები ვრცელდება ასევე მოსარგებლებზე, რომლისთვისაც ცნობილია მის სასარგებლოდ სადაზღვევო ხელშეკრულების დადების შესახებ, მოსარგებლის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, **მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას ანაზღაურების გაცემაზე.**

მზღვეველის უფლებები და ვალდებულებები:

- 5.10 მზღვეველი იტოვებს უფლებას, თავად მოახდინოს ქონების დასურათება სადაზღვევო პოლისის გაფორმების თარიღიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. ამასთანავე დამზღვევი ვალდებულია დაუშვას მზღვეველის წარმომადგენელი ქონების დასათვალიერებლად და დასასურათებლად ნებისმიერ დროს პოლისის ძალაში შესვლიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში;
- 5.11 მზღვეველი ვალდებულია შეისწავლოს დაზღვეული ქონების განადგურების/დაზიანების გამომწვევი მიზეზები და გარემოებები სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში;
- 5.12 დაზიანებული/განადგურებული ქონების დათვალიერების შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისგან წინამდებარე პირობების 5.6 მუხლში ჩამოთვლილი საბუთების წარმოდგენა;
- 5.13 დამზღვევის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, მზღვეველი ვალდებულია განახორციელოს ზარალის შეფასება, მიიღოს გადაწყვეტილება ზარალის ანაზღაურებაზე ან დასაბუთებულად უარი თქვას ანაზღაურების გაცემაზე;
- 5.14 ზარალის ანაზღაურება გაიცემა ორივე მხარის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე ხელმოწერიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში;
- 5.15 მზღვეველი დამზღვევთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას სადაზღვევო ანაზღაურების ფორმასთან დაკავშირებით: დაზიანებული ქონების

შეკეთების/აღდგენის ხარჯები გადარიცხოს პირდაპირ სარემონტო კომპანიის ანგარიშზე, საიდანაც წარმოდგენილი იქნება დამდგარი ზარალის კალკულაცია, თუ მოახდინოს ანაზღაურება (ფრანშიზისა და გადაუხდელი პრემიის ოდენობის გამოკლებით) უშუალოდ დამზღვევის ანგარიშზე;

- 5.16 სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა შემცირდება ფრანშიზისა და გადაუხდელი პრემიის გათვალისწინებით;
- 5.17 იმ შემთხვევაში თუ შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, მზღვეველი იღებს ვალდებულებას წერილობით შეატყობინოს დამზღვევს უარი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით 1 (ერთი) თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც წარმოდგენილია ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ცნობილია შემთხვევის ყველა გარემოება;
- 5.18 მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, იმ შემთხვევაში, თუ:
- არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დამზღვევის ან მოსარგებლის უფლებამოსილებაზე მიიღონ სადაზღვევო ანაზღაურება, ან სადაზღვევო შემთხვევის რისკებთან შესაბამისობაზე და მის ნამდვილობაზე. ანაზღაურების ვადა აღნიშნულ შემთხვევაში გადაიწვეს, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დაზღვეულ ქონებაში დამზღვევის ან მოსარგებლის ინტერესს;
 - შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე სადაზღვევო შემთხვევაზე.

6. სუბროგაციის წესი

მზღვეველის მიერ ზარალის ანაზღაურების შემდეგ გადახდილი თანხების ფარგლებში მასზე გადადის დამზღვევის უფლება ზარალზე პასუხისმგებელი მესამე პირისაგან მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება. ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია სრულად ითანამშრომლოს მზღვეველთან ამ უფლების გადმოსაცემად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

7. ორმაგი დაზღვევა

- 7.1. დამზღვევი/მოსარგებლე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულ ქონებასთან მიმართებით სხვა სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ყველა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.
- 7.2. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროისთვის თუ აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ქონება დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით (გარდა სს

“თიბის ბანკის” მიერ გაცემული იპოთეკური სესხის ფარგლებში არსებული ქონების დაზღვევის პოლისისა), მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისისათვის დამზღვევს/მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში თავისი წილის პროპორციულად.

7.3. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები.

8. სადაზღვევო პრემია

8.1. დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი მითითებულია სადაზღვევო პოლისში.

8.2. თუ დამზღვევი პირველ (მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში) ან ერთჯერად სადაზღვევო პრემიას (ერთჯერადი გადახდის შემთხვევაში) სრულად არ გადაიხდის სადაზღვევო პერიოდის დაწყების თვის შემდგომი კალენდარული თვის 1 რიცხვამდე, პოლისი ავტომატურად გაუქმდება მისი გაცემის თარიღიდან. პრემიის პირველი ან ერთჯერადი შენატანის გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ვალდებულების შესრულებისგან.

8.3. მხარეები შესაბამის სადაზღვევო პოლისზე ხელმოწერით თანხმდებიან, რომ მრავალჯერადი გადახდების შემთხვევაში, პოლისში მითითებული სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის/ვადაგადაცილებისას (აქ იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა, გარდა პირველი გადახდისა), დამზღვევს დამატებით აქვს ორკვირიანი ვადა გადახდის შესასრულებლად. ამასთან, თუ პრემია არ იქნება გადახდილი, პოლისში მითითებული გადახდის თარიღის გადაცილებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე (ოცდამეათე კალენდარული დღის 24 საათზე), მზღვეველის მიერ ცალმხრივად შეწყდება სადაზღვევო ხელშეკრულება/პოლისი და წინამდებარე ქვეპუნქტში ზემოთ ნახსენები დამატებითი ორკვირიანი ვადის გასვლის შემდეგ მომხდარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

9. სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის წესი

9.1. სადაზღვევო ხელშეკრულება წყდება შემდეგ შემთხვევებში:

- დაზღვეული ქონება აღარ არსებობს სადაზღვევო შემთხვევისაგან დამოუკიდებელი მიზეზით;
- დამზღვევმა განზრახ გამოიწვა საფრთხის ზრდა ან დროულად არ შეგვატყობინა საფრთხის ზრდის შესახებ;
- **დამზღვევის მიერ დამალულია, ან არასწორადაა მოწოდებული, ან მოწოდებულია გაყალბებული ინფორმაცია - ასეთ შემთხვევაში**

მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე და შეაჩეროს დაზღვევა წინასწარ შეტყობინების საფუძველზე;

- მზღვეველის მიერ ვალდებულებების მთლიანად შესრულება (ვალდებულების შესრულების მომენტიდან);
- დამზღვევის გარდაცვალებისას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დაზღვეულ ქონებაზე საკუთრების უფლება გადადის სხვა პირზე;
- სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში;

9.2. დამზღვევს აქვს უფლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მზღვეველს ხელშეკრულების შეწყვეტამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე. დამზღვევის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტისას, უკან დასაბრუნებელი პრემიის არსებობის შემთხვევაში, თუ მას ზარალი არ ქონია, დამზღვევს დაუბრუნდება ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისთვის არსებული ჭამური გამოუმუშავებელი პრემია, 10%-ის გამოკლებით. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველის მიერ ანაზღაურდა ზარალი, დაზღვევის გაუქმებისას პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო თუ პრემია სრულად არ არის გადახდილი, დამზღვევი ვალდებულია, გადასახდელი სადაზღვევო პრემია დაფაროს სრულად.

9.3. სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადამდე მზღვეველის ინიციატივით, ამასთან სადაზღვევო პრემია დაუბრუნდება დამზღვევს იმ ოდენობით, რომელიც პროპორციულად შეესაბამება ხელშეკრულების მოქმედების დარჩენილ პერიოდს. სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მზღვეველი შეატყობინებს დამზღვევს წერილობითი სახით, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე.

9.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაშიც, თუ დამზღვევი არღვევს ხელშეკრულების პირობებს ან მოქმედებთ საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, დაზღვევის გაუქმებისას პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება.

10. კონფიდენციალობა

10.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

- 10.2. მზღვეველი უფლებამოსილია, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები დაამუშოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით და გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, მათ შორის ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია;
- 10.3. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია, მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.

11. დავათა გადაწყვეტა

წინამდებარე პირობებთან და სადაზღვევო პოლისთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით; შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. შეტყობინება და კომუნიკაცია

12.1. ამ დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, საკომუნიკაციო საშუალებად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დამზღვევის მიერ სადაზღვევო განაცხადში ან სადაზღვევო პოლისში მითითებული მისამართი ან/და მობილური ტელეფონის ნომერი, რაც გულისხმობს იმას, რომ მზღვეველის მიერ ამ მისამართზე (ან მისამართის შეცვლის თაობაზე, მზღვეველისათვის გაცხადებულ ბოლო მისამართზე) გაგზავნილი შეტყობინება (მათ შორის მოკლე ტექსტური შეტყობინება) ჩაითვლება მზღვეველის მიერ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით შეტყობინებად. ასეთ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ იმყოფებოდეს ან მისამართი არასწორად/არაზუსტად იყოს გაცხადებული მზღვეველისათვის;

13. დამატებითი დაფარვა

წინამდებარე ქონების დაზღვევის პირობები მოიცავს მესამე პირთა მიმართ წარმოქმნილი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევას;

დაფარული რისკი:

დამზღვევის მიერ დაზღვეული ქონების არასათანადოდ ან/და დაუდევრად ფლობის და განკარგვის შედეგად წარმოქმნილი ხანძრით, აფეთქებით ან დატბორვით გამოწვეული ზარალი, რომელიც მიადგა მესამე პირთა ქონებას.

მზღვეველის პასუხისმგებლობა მესამე მხარისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ოდენობით.

წინამდებარე დაფარვიდან გამონაკლისს წარმოადგენს მესამე მხარისათვის მიყენებული:

- ზიანი იჭარით, გირაოთი, ლიზინგით აღებული და/ან ნაქირავები ქონებისათვის;
- ზიანი, გათვალისწინებული რაიმე სხვა ხელშეკრულებით, ნებისმიერი სახის ჯარიმა;
- ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;
- ავეჯის/ქონებისათვის, რომლის წლოვანებაც აღემატება 50 წელს.

პაკეტი სტანდარტი

| | | | | | |
|-----------------------------|--|------|----------|------|---------|
| | | 200 | | 400 | |
| ბინის ფართი: | ≤120 კვ.მ. | კვ.მ | 300 კვ.მ | კვ.მ | 500კვ. |
| ყოველთვიური პრემია: | 10 ლარი | ლარი | 30 ლარი | ლარი | 50 ლარი |
| ანაზღაურების ლიმიტი: | შიდა მოპირკეთებისთვის - 1 კვ.მ-ზე მაქსიმუმ 300 ლარი ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე - მაქსიმუმ 15 000 ლარი | | | | |

პაკეტი პრემიუმი

| | | | | | |
|-----------------------------|--|------|----------|------|---------|
| | | 200 | | 400 | |
| ბინის ფართი: | ≤120 კვ.მ. | კვ.მ | 300 კვ.მ | კვ.მ | 500კვ.მ |
| ყოველთვიური პრემია: | 20 ლარი | ლარი | 40 ლარი | ლარი | ლარი |
| ანაზღაურების ლიმიტი: | შიდა მოპირკეთებისთვის - 1 კვ.მ-ზე მაქსიმუმ 500 ლარი ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე - მაქსიმუმ 20 000 ლარი | | | | |

ანაზღაურების ლიმიტი * იმ შემთხვევაში თუ, დამზღვევი იძულებულია დატოვოს

ლიმიტი: დაზღვეული საცხოვრებელი ფართი და საცხოვრებლად იქირაოს ბინა, რაც გამომწვეულია სადაზღვევო შემთხვევით, მზღვეველი ანაზღაურებს ბინის დაქირავების ხარჯს მაქსიმუმ 3 (სამი) თვის განმავლობაში, მაგრამ არაუმეტეს 500 აშშ დოლარისა თვეში.

ფრანშიზა:

- შიდა მოპირკეთების დაზიანების შემთხვევაში – 5% ზარალიდან, მინიმუმ 100 ლარი თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;
- ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემთხვევაში – 150 ლარი თითოეულ და ყველა შემთხვევაზე.

დამატებითი დაფარვა - მესამე მხარისადმი პასუხისმგებლობის დაზღვევა

ყოველთვიური პრემია: 5 ლარი

ანაზღაურების ლიმიტი: მაქსიმუმ 10 000 ლარი ჯამურად, ამასთან:

- პოლისი სტანდარტი: შიდა მოპირკეთებისთვის –1კვ/მ-ზე – მაქსიმუმ 300 ლარი;
- პოლისი პრემიუმი: შიდა მოპირკეთებისთვის –1კვ/მ-ზე – მაქსიმუმ 500 ლარი.

ფრანშიზა: 100 ლარი.

დანართი 1

| დასახელება | ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი | |
|--------------------|---------------------------------|------|
| ტელევიზორი | 1 200 | ლარი |
| სამეული ავეჯი | 3 000 | ლარი |
| კომპიუტერი | 1 000 | ლარი |
| კედლის კარადა | 1 500 | ლარი |
| მაგიდა | 1 000 | ლარი |
| დივანი | 800 | ლარი |
| წიგნების თაროები | 600 | ლარი |
| სამზარეულოს კარადა | 2 500 | ლარი |

| | | |
|---|-------|---|
| გაზქურა/ გამწოვი | 1 500 | ლარი |
| ჭურჭლის სარეცხი მანქანა | 1 500 | ლარი |
| მაცივარი | 1 000 | ლარი |
| სარკე | 1 000 | ლარი (მაქსიმუმ 500 ლარი ერთ ერთეულზე) |
| აუდიო ტექნიკა | 1 000 | ლარი |
| ფოტოაპარატი | 1 000 | ლარი |
| ლექტოპი | 1 200 | ლარი |
| | | |
| საძინებლის კარადა | 1 300 | ლარი |
| საძინებლის საწოლი | 1 500 | ლარი |
| კომბო | 800 | ლარი |
| აბაზანის მოწყობილობები | | |
| სარეცხი მანქანა | 800 | ლარი |
| საშხაპე | 800 | ლარი |
| აბაზანის სხვა ინვენტარი | 2 000 | ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| | | |
| ჭალები და განათების სისტემები | 1500 | ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| ხალიჩები და ფარდები | 2 000 | ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| მიქსერები/ ბლენდერები/ მიკროტალღური ღუმელები | 1 000 | ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| ელექტრო ხორცსაკეპი მანქანები/ ყავის აპარატები | 1 000 | ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 500 ლარი) |
| სკამები | 1 500 | ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 200 ლარი) |
| გათბობის მოწყობილობები (ქვაბი და რადიატორები) | 3 000 | ლარი (ერთი რადიატორი მაქსიმუმ 500 ლარი) |
| კონდიციონერი | 800 | ლარი |
| უთო /თმის საშრობი | 600 | ლარი (ერთ ერთეულზე მაქსიმუმ 300 ლარი) |

| | | |
|--------------|-----|------|
| მტვერსასრუტი | 600 | ლარი |
|--------------|-----|------|

ავეტის და ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში, მზღვეველი დაეყრდნობა წინამდებარე დანართში მითითებულ ფასწარმოქმნას, თუმცა სადაზღვევო შემთხვევის მომენტისთვის არ ანაზღაურდება დაზიანებული ტექნიკის/ავეტის საბაზრო ღირებულებაზე მეტი თანხა.